საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

შაბათი, 25 სექტემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელისმომწერთათვის გაზეთი ღირს 150 მან.

ფასი 8 მან.

№ 51 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 51

## 80 და 70.

ისე შევეჩვიეთ ჩვენ მენშევიკების გამაყრუებელ ტრაბახს, რომ ახლა უეჭველათ ის გაგვაკვირვებს, თუ სადმე სიმართლე წამოსცდათ. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც კორექტურულ შეცდომათ ჩავთვალეთ „ერთობაში“ მოთავსებულ ალ. დგებუაძის სიტყვის ის ადგილი, რასაც ის ევროპიელ სტუმრებს ეტრაბახება თავის ქვეყნის სიკეთეს და სხვათა შორის ამბობს: „წარმოებათა 80 პროცენტი სახელმწიფოს ხელშიაო“. ხოლო როდესაც ამას მცირე ვარიაციით იმეორებს მეორე „ბელადი“ ზ. ხელაძე და ამტკიცებს, რომ „საქართველოში არსებულ წარმოებათა 70 პროცენტი სახელმწიფოს ხელშიაო“, მაშინ კი ვხვდებით, რომ კორექტურა აქ არაფერ შუაშია,—აქ საქმე გვაქვს მენშევიკების ჩვეულებრივ ბაქი-ბუქობასთან.

ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. საზღვარი არა ქონია მხოლოთ თავის თავზე შეყვარებული ფილისტერის გარეტიანებულ ბოდვას, რომელიც მას, მიუხედავათ მისი უმსგავსობისა, ხალას ჭეშმარიტებათ ეჩვენება. და ასე ეჩვენება ეს ამ ბაჭია ხალხის აუდიტორიას, მის გაზეთს, მის მკითხველებს და ასე წარმოიდგინეთ, რომ თვით მის სტუმრებსაც. ყოველ შემთხვევაში ჩვენ არა გვსმენია, რომ თუნდ რომელიმე მათგანს გაკვირვება მაინც გამოეთქვას ასეთი წარმოებისა გამო.

80 პროცენტი, 70 პროცენტი წარმოებისა! იციან კი ამ ვაჟბატონებმა რა არის წარმოება? თუ იციან და ასეთ ციფრებს სჩმახავენ, ცხადია, რომ ამ ცრუპენტელაობის ხელობას მათ ვერაფითარი ლოღიკური საბუთით მათ ვერ მოაშლევინებ.

თავისთავათ მაინც ძლიერ დამახასიათებელია ამ მსხვილი ციფრების ასე უპრაგონოთ გადმოლაგება მენშევიკების მხრით. ამით უნდათ მათ დაამტკიცონ, ჯერ ერთი, თავისი სახელმწიფოს მძლეთა-მძლეობა და მეორეც, თავისი თითქმის—სოციალისტობა.

უაღრესათ წვრილ-ბურჟუაზიულ ქვეყანაში, სადაც მსხვილი წარმოება თითქმის სრულიათ არ მოიპოვება, რანაირათ შეიძლება ლაპარაკი 80 და თუნდ 70 პროცენტის სახელმწიფოს მიერ დასაკუთრებაზე! ასეთი დიდი პროცენტის ხელში ჩაგდება ორში ერთს მოასწავებს: ან სახელმწიფო კაპიტალიზმს, თუ სახელმწიფო ბურჟუაზიულია, ან სოციალიზმს, თუ სახელმწიფო სოციალისტურია.

რომელ ერთს გულისხმობდენ დგებუაძე—ხელაძე ამ ციფრებით თამაშის დროს? ჩვენ გვგონია, რომ არც ერთს. მათ მხოლოთ შესტოპეს; მსგავსათ ხლესტაკოვისა, რომელსაც 35 ათასი კური ერი მოსდის ბინაზე, მათ წარმოიდგინეს, რომ ამ უკაცო ქვეყანაში ადვილათ გავა ასეთი ცოცხალი ტყუილიც.

ტყუილი და როგორი ტყუილი! მათ ალბათ დაავიწყდათ, რომ სულ რამდენიმე ხნის წინათ მათ თავი მოქონდათ ვაჭრობის თავისუფლებით, კერძო ინიციატივის წახალისებით და ხელშეუხლებლობით და ყოველივე ეს კი წარმოუდგენელია არა თუ მარტო სოციალიზმში, ეს შეუძლებელია თვით სახელმწიფო კაპიტალიზმში.

საკვირველია მხოლოთ: რატომ დაუწია ხელაძემ დგებუაძის ტყუილს მთელი 10 პროცენტით? ჩვენ მენშევიკებისაგან სხვა რამეს ვარით ჩვეული. მათი ტყუილები, თავის ქება და ტრაბახი განუწყვეტელი პროგრესით მატულობს და მხოლოთ მაშინ წყდება მისი გადიდება, როცა მისი ავტორები რწმუნდებიან, რომ მათ მიერ გამოშტერებულმა მასსამ საფუძვლიანათ შეითვისა ეს ტყუილი და დაურღვეველ დოგმატათ აღიარა იგი: მაშინ მენშევიკები უდგებიან ახალ მორიგი ტყუილის გამტკიცებას.

ცუდი ნიშანია რეგრესი ტყუილების თხზვაშიაც კი. სიმართლემდე ისინი ველარ ჩამოგორდებიან, ტყუილებს ისინი ველარ ამაგრდებიან. ერთათ ერთი გამოსავალია მათთვის—გაიზიარონ საპნის ბუშტების ბედი და განქარდენ თავის ტყუილებთან ერთათ.

## ადგილობრივი პრესა.

„ერთობას“ აღარ სწამს ძველი ცხოვრების აღდგენა და ამის შესაფერათ კურსის შეცვლას აპირობს. თუმცა ნათლათ ვერ გაურკვევია, მარა იგი ბუნდოვანათ გრძნობს, რომ რაღაც დიდი ცვლილებები სწარმოებს მთელ ცხოვრებაში.

„ცხოვრებაში კი ისეთი რადიკალური ცვლილება ხდება, რომ მისი მსგავსი კაცობრიობის ისტორიას შეიძლება არც ახსოვდეს ხალხის გადასახლების შემდეგ. შარლ ჟიდის და ჟევანის სიბრძნე ველარ გვიშველის“.

ამ სიტყვების შემდეგ კიდევ ლიბრი ეფარება „ერთობას“ თვალებზე და ასეთი კილოთი განაგრძობს:

„არ შეუდგებით იმის გამოკვლევას თუ რამდენათ მოსალოდნელია ახლო მომავალში რევოლიუციის დაცხრომა აღმოსავლეთ ევროპაში. ეს ზოგადი პოლიტიკის საკამათო საგანია“.

ე. ი. რევოლიუციის ბედი თეორიული საკამათო საგანია მხოლოთ და „ერთობაც“ ხანდახან იკამათებს ამაზე, თუ ხალისი ექნა. თავის მოქმედების სახელმძღვანელოთ კი ის მას ვერ ლაისახავს. მაგრამ კაცმა ქირი მალა, ქირმა თავი არ დამალაო:

„მაგრამ თუნდაც ანტანტამ ბოლშევიკური რუსეთი დაამარცხოს, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ევროპაში უცვლელათ ადრინდელი ეკონომიური მდგომარეობა აღსდგება. რევოლიუცია უფრო ეკონომიური კრიზისის შედეგია, ვიდრე მიზეზი. სანამ ეკონომიური მიზეზი არ დამცხრალა, რევოლიუციური ცეცხლის მფრქვეველი მთა სხვა ადგილას ამოხეთქავს, თუ მოსკოვში ჩაქრა“.

რაკი დაკარგა რევოლიუციის დაცხრომის იმედი, „ერთობა“ ცდილობს ეკონომიური დამოუკიდებლობა მოიპოვოს. ამისთვის ის ემყარება ისეთ საწარმოვო ძალებს, როგორიც არის ჯარა და მაქო, გურული დარაია და ოსური შალი. ჩვენც ვეთანხმებით, რომ ამ ავლა დიდების პატრონებს მართლა დაგვჭირდება ეკონომიური დამოუკიდებლობა, რადგან რითი უნდა მოვიდეთ სხვებთან ურთიერთობაში, როცა ჩვენთვისაც არა გვექნება რა.

## რით აიხსნება რუსეთში სოციალისტური რევოლიუციის ადვილად გამარჯვება?

პროლეტარიატის რევოლიუცია სოლიდარული უნდა იყოს, სთქვა კ. მარქსმა პირველი ინტერნაციონალის უკანასკნელ კონგრესზე თავის საბოლოო სიტყვაში. პარიზის კომუნა დაეცა, სხვა მიზეზთა შორის, იმიტომაც, რომ მას არ გამოეხმაურა ბერლინი, მადრიდი და სხ. ეს იყო მაშინ, როცა ევროპის ბურჟუაზია არ იყო კიდევ თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული, როცა იმპერიალიზმის ჯოჯოხეთური გამძლეტი მანქანები არ დასრიალებდენ წყალქვეშ და ჰაერში, და როცა ბურჟუაზია არ იყო ისე მაგრათ და მტკიცეთ შეკავშირებული ეროვნულ და საერთაშორისო ფარგლებში, როგორც მე-20 საუკუნეში.

რაც უნდა ძლიერი, ორგანიზაციულად დარაზმული და სასტიკი დისციპლინით ჩაქვითკირებული არ უნდა იყოს რომელიმე ქვეყნის პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელობის მცნობი რევოლიუციონური მასსები, რაც უნდა გმირობით გაჟღენთილი—დღეს ის ვერ შესძლებს საერთაშორისო იმპერიალიზმი, ეს უმთავრესი და გააფთრებული მტერი სოციალიზმისა, გაანადგუროს საერთაშორისო ასპარეზზე. მას შეუძლია დაამხოს საკუთარი ბურჟუაზია, შემუსროს საკუთარი იმპერიალიზმი, ხოლო მარტო საკუთარი ძალებით ის ვერ შესძლებს მსოფლიო ბურჟუაზიის დამხობას, ვერ შესძლებს დიდი ხნით გაუძლოს მსოფლიო იმპერიალიზმის ალყას და დაეცემა, თუ მას არ გამოეხმაურა სხვა ქვეყნების რევოლიუციონური კლასი, თუ მას არ მიეშველა პროლეტარული რევოლიუცია ზოგიერთ მოწინავე და მძლავრ სახელმწიფოებში.

მაშასადამე, რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს საბოლოოდ, თუ ის გაარღვევს ნაციონალურ ფარგლებს, რევოლიუციურად გადალახავს საზღვრებს და გახდება საერთაშორისო რევოლიუციის ერთ-ერთ უმთავრეს ფრონტათ. და რუსეთის პროლეტარული რევოლიუციის ხელმძღვანელ პარტიის ტაქტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სწორი, თუ ის ანგარიშს უწევს სამს საკითხს: მზათაა თუ არა ევროპის დაწინაურებული ქვეყნები სოციალისტური რევოლიუციისათვის? შექმნილია თუ არა რევოლიუციონური მდგომარეობა (სიტუაცია) იქ? და შეუძლია თუ არა რუსეთის რევოლიუციას, გაუძლოს და მოიგერიოს კონტრ-რევოლიუციის იერიშები, არ ჩააქროს რევოლიუციის ჩირაღდანი, სანამ სხვა ქვეყნებშიც აგორდებოდეს პროლეტარული რევოლიუციის ტალღა?

ყველა ამ საჭირბოროტო, სამკვდრო სასიცოცხლო კითხვებს რუსეთის რევოლიუციის მეთაური პარტია სრულ ანგარიშს უწევდა და ამიტომაც გამოდგა მისი ტაქტიკა ერთად ერთი სწორი, უდრეკი და საბოლოო გამარჯვების თავდებიხ.

მზათაა თუ არა ევროპის და ამერიკის სინამდვილე სოციალისტური გადატრიალებისათვის? ამ კითხვაზე პასუხი ერთია: რასაკვირველია მზათაა. თუმც საჭირო არ არის, მარა მაინც მოვიყვანოთ ზოგიერთ ავტორიტეტული მოწმობის ჩვენება.

ქ. კაუცკი ჯერ კიდევ 1907 წ. სწერდა: „სოციალიზმი ამ ჟამათ უკვე ეკონომიურ აუცილებლობას წარმოადგენს. მისი განხორციელების ვალა უკვე მხოლოდ ძალის საკითხია. ამ ძალის მიცემა პროლეტარიატისათვის ორგანიზაციის და განათლების საშუალებით წარმოადგენს ამ ხანად ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანეს მოვალეობას სოციალ-დემოკრატიისას. უცნაურთაგან უცნაურებია ის სოციალისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ახლა კიდევ უნდა ვიზრუნოთ კაპიტალიზმის ძალების შემდეგ განვითარებაზე“ („სოციალიზმი და კოლონიალური პოლიტიკა“) უდიდესი თეორეტიკოსი მეორე ინტერნაციონალისა, რ. გილფერდინგი 1909 წ. სწერდა სხვათა შორის თავის „ფინანსიურ კაპიტალში“: „სოციალიზმი აღარ არის შორეული იდეალი, ის აღარ არის ის „საბოლოო მიზანიც“, რომელიც მაგვითითებს საერთო მიმართულებას „მიმდინარე მოთხოვნებების“. სიციალიზმი ხდება არსებით ელემენტად პროლეტარიატის უშუალო პრაქტიკულ პოლიტიკაში... პროლეტარიატის პასუხი ფინანსიური კაპიტალის ეკონომიურ პოლიტიკაზე, იმპერიალიზმზე უნდა იყოს არა მოთხოვნა ვაჭრობის თავისუფლებისა, არამედ მხოლოდ სოციალიზმი... სოციალიზმი, როგორც ერთად ერთი პასუხი იმპერიალიზმზე, უნდა პროპაგანდის წინა რიგში ჩადგეს. თავის ზოგადი ტენდენციებით ფინანსიური კაპიტალი მომასწავებელია საზოგადოებრივი კონტროლის წარმოებაზე. მაგრამ ეს განსაზოგადოებრივობა ანტაგონისტურ ფორმაში, ბატონობა განსაზოგადოებულ წარმოებაში ოლიგარხიის ხელში რჩება. ბრძოლა ამ ოლიგარხიის ჩამოსაგდებათ წარმოადგენს უკანასკნელ საფეხურს კლასიური ბრძოლისას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის... ბერლინის ექვსი მსხვილი ბანკის ხელში ჩაგდება უკვე ამ ჟამათ მომასწავებელი იქნებოდა მსხვილი მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგების ხელში ჩაგდების და მეტისმეტათ გაუადვილებდა სოციალიზმს პირველ ნაბიჯებს გარდამავალ ხანაში...“

მესამე ქურუმი მეორე ინტერნაციონალის, ოტტო ბაუერი 1908 წ. სწერდა: „უეჭველია, რომ მომავალი იმპერიალისტური მსოფლიო ომი აუცილებლათ თან მოიტანს რევოლიუციონურ გადატრიალებას... იმპერიალისტური მსოფლიო კატასტროფა, უეჭვოა, შეიქნება დასაწყისათ სოციალისტურ მსოფლიო გადატრიალებისა“ („ნაციონ. საკითხი და ს.-დ.“) ა. ბებელმა 1907 წ. მაროკოს ინციდენტის გამო, რეიხსტაგში წარმოთქმულ სიტყვაში სთქვა:

„ჩემი რწმენით დიდ მსოფლიო ომს თან მოჰყვება დიდი მსოფლიო რევოლიუცია... თქვენ მოიმკით, რაც დასთესეთ. დგება მწუხრი ბურჟუაზიული წყობილების. დიახ, დარწმუნებული იყავით ბატონებო, რომ ეს მწუხრი უკვე სულ ახლოს არის... უკვე გაისმის სამგლოვიარო ზარი თქვენს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ წყობილების შესახებ“.

კიდევ უფრო მკაფიოდ წამოაყენა რევოლიუციის საკითხი იმავე ქ. კაუცკიმ, რომელმაც 1909 წ. უძღვნა ამ საკითხს წიგნაკი დამახასიათებელი სათაურით: „გზა ძალა უფლებისაკენ“. აქ ის ამტკიცებს, რომ ევროპა არათუ მზათაა სოციალისტური რევოლიუციისათვის, მან უკვე შედგა ფეხი რევოლიუციონურ ხანაში, და ომი მხოლოდ დააჩქარებს ამ პროცესსო. აი მისი წიგნის მოკლე შინაარსი: „სოციალ-დემოკრატია რევოლიუციის პარტიაა, ის ესწრაფვის პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალა-უფლების დაპყრობას, პროლეტარიატის დიქტატურას“ კაუცკი დასცინის მათ, ვისაც საეჭვოთ მიაჩნია რევოლიუციის მოხდენა: „რასაკვირველია—ამბობს კაუცკი—ყოველ ცოტაი თუ ბევრად მნიშვნელოვან მოძრაობის და აჯანყების დროს ჩვენ დამარცხებასაც უნდა მოველოდეთ. ბრძოლის დასაწყისში მხოლოდ ტუტუცს შეუძლია სავსებით დარწმუნებული იყოს გამარჯვებაში“.

პირდაპირი ღალატი იქნებოდა ჩვენი საქმის, რომ გამარჯვების იმედი უკუგვეგდო. რევოლიუცია შესაძლებელია ომის გამო, ომის დროს ან ომის შემდეგ. რევოლიუცია, რომელიც თან მოაქვს ომს, იფეთქებს ან ომის დროს ან მის გათავებისთანავე... ჩვენ გვაქვს ყველა საბუთი იმის საფიქრებლად, რომ ფეხი შევდგათ სახელმწიფო ძალა-უფლების დასაპყრობათ ბრძოლის პერიოდში; ეს ბრძოლა შეიძლება ათეული წლები გაგრძელდეს, ეს ჩვენ არ ვიცით, მარა საფიქრებელია, რომ ის ახლობელ მომავალში მოიტანს პროლეტარიატის მნიშვნელოვან გაძლიერებას მაინც, თუ მის დიქტატურას არა. რევოლიუციური ელემენტები გამრავლდებიან: 1895 წ. გერმანიაში 10 მილიონ ამომრჩეველებში 6 მილიონი პროლეტარი იყო და 3-ნახევარი მილიონი კერძო საკუთრებაში დაინტერესებული. 1907 წ. კი პირველთა რაოდენობა გაიზარდა 1,6 მილიონით, ხოლო უკანასკნელთა მხოლოდ 300 ათასით. და მოძრაობის ტემპი ერთბაშათ უკიდურესად ჩქარი ხდება, როცა რევოლიუციური მღელვარება იწყება. კლასიური წინააღმდეგობანი კი არ ნელდება, პირიქით მწვავდებიან, იზრდება სიძვირე, იმპერიალიზმის სიგიჟე—მილიტარიზმი. რევოლიუციის ასაცილებლად ომს უფრო ადრე გააჩაღებდენ, მარა ომი უფრო აახლოვებს რევოლიუციას, ვიდრე შეიარაღებული ზავი. „მსოფლიო ომის მუქარა გვიახლოვდება, მარა ომი ნიშნავს რევოლიუციასაც“. ფ. ენგელსი 1891 წ. შეეძლო კიდევ შიში ქონოდა გერმანიაში ნაადრევ რევოლიუციის, მარა ახლა მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა. პროლეტარიატს „აღარ შეუძლია უკვე ნაადრევ რევოლიუციაზე ლაპარაკი... საქმე მხოლოდ იმაშია, რომ სოც.-დემოკრატიამ გამოიჩინოს უდრეკლობა, შეურიგებლობა, უეჭველია, რომ ჩვენ რევოლიუციურ პერიოდში შევდგით ფეხი...

აი რას სწერდენ მეორე ინტერნაციონალის ბელადები. ამასვე იმეორებდენ და სამოქმედო გეგმათ იხდიდენ იმავე ინტერნაციონალის ცალკე ორგანიზაციები: საწჯეთ, ბატონებო, ომის დაწყება, უფრო ადრე დავამსხვრევთ თქვენს წყობილებას და დავეპატრონებით ქვეყნიერებასო—აი როგორ მიმართავდა მეორე ინტერნაციონალი დრო მოჭმულ კაპიტალისტურ საზოგადოებას, მიმართავდა მეცნიერულ გამოკვლევებში, პუბლიცისტურ წერილებში და შტუტგარტ ბაზელის სოციალისტურ კონგრესების რეზოლიუციებში.

იფეთქა ომმა, იფეთქა ამ მსოფლიო კრიზისმა. ბურჟუაზიამ და მისმა დამქაშებმა სოციალ-პატრიოტულ ბანაკიდან შესძლეს დროებით წაფორხილება პროლეტარული კლასის, განელება მისი რევოლიუციონური ბრძოლის წყურვილის, მისი მიბმა იმპერიალიზმის ურემზე. მაგრამ შესძლეს დროებით, ვინაიდან ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ჩამარხულია კაპიტალისტურ წესწყობილებაში და რომლებიც ასაზრდოებენ პროლეტარიატის მუდმივ რევოლიუციონერობას, არა თუ გაქრენ, ასჯერ და ათასჯერ უფრო გამწვავდენ და უფსკრულის კიდეზე დააყენენ დასახიჩრებული კაცობრიობა მალე გაირა შოვინიზმით დათრობამ, ევროპის პროლეტარიატმა იწყო გამორკვევა, სისხლის წარღვნის მორევისაგან თავის დახწევა. ხანგრძლივი და უძნელესი პროცესია ეს გამორკვევა და ძმათა სისხლის ჩამორეცხა, და გუშინდელ პროლეტარ—მტერთან ერთად საერთო მტრის, მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ იარაღით ხელში გალაშქრება. მარა ეს პროცესი იმ თავითვე სწარმოებდა, სწარმოებს შეუჩერებლივ რევოლიუცია ბოლგარიაში, ავსტრიაში, გერმანიაში ამ პროცესის პირველი ეტაპებია, თან საუკეთესო დასაყრდნობი რუსეთის რევოლიუციის საგარეო პოლიტიკისათვის, ორივე იმპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალისტური კოალიცია დღეს მისთვის ნაკლებ საშიშარია ჯერ ერთი იმიტომ, რომ მიუხედავათ ერთის დამარცხებისა და მეორეს გამარჯვებისა, ისინი მაინც ომიდან ვერ გამოდიან, ერთმანეთს ულრენენ; მათი ერთდროული და შეთანხმებული შეტევა რუსეთზე შეუძლებელია და მეორეც—როგორც გამარჯვებულ ისე დამარცხებულ კოალიციას შიგნით გაუჩნდა უსაშინელესი ფრონტი—ფრონტი აჯანყების გზაზე დამდგარ პროლეტარიატის წინააღმდეგ, იმ პროლეტარიატის, რომელიც არა თუ გადაჭრით მოითხოვს მთავრობებისაგან რუსეთის რევოლიუციაზე თავდასხმაზე ხელის აღებას, არამედ თითონ იწყებს დამარაკს „რუსულად“, თითონ აწყობს საბჭოებს და აჩაღებს რევოლიუციას.

ყოველივე ეს ამართლებს რუსეთის რევოლიუციის მიერ აღებულ ტაქტიკურ ხაზს, უადვილებს მას ბრძოლის გაგრძელებას, აახლოვებს იმ მომენტს, როცა რუსეთის დაწყებული სოციალისტური რევოლიუცია გადაიქცევა საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციად, როცა მსოფლიო კაპიტალიზმი და იმპერიალიზმი დაეცემა მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის უროთი გაჭყლეტილი. რუსეთი შესძლებს იმ დრომდე გაძლებას, ის არ გააგდებს ხელიდან რევოლიუციის აპრიალებულ ჩირაღდანს, რომლის ნაპერწკლები სცვივა მთელს დედამიწას, რომელიც ანათებს ტეხნიკურად მძლავრ გერმანიას და შორეულ ჩამორჩენილ ეგვიპტეს და ინდოეთს რევოლიუციის ბაზა ფართოვდება დღითიდღე, რუსეთს უახლოვდება ახალი მილიონები მოკავშირეებისა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან, ბურჟუაზიას კი თანდათან აკლდება ძალები ვანიდან ყველა ერკვევა მის ავაზაკობაში, ყველა ხედავს, რომ მას აღარ შეუძლია გაამთელოს დამსხვრეული და განიავებული მეურნეობა, აღადგინოს წარმოება, აილოკოს სასიკვდილო ჭრილობები.

რუსეთის რევოლიუციის მიმზიდველმა ძალამ ორათ გაჰყო მთელი ქვეყნიერება, თითეული ხალხი: პროლეტარული ბოლშევიზმი თუ ბურჟუაზიული იმპერიალიზმი—ამ ორ შეურიგებელ პოლიუსის გარშემო იყრიან თავს ძალები რეაქციისა, ძალები რევოლიუციისა. ბოლშევიზმი შეიქნა თეორია და ტაქტიკა საერთაშორისო რევოლიუციონური პროლეტარიატის და დაჩაგრულ მასსების. ეს მოიმოქმედა ჩამორჩენილ რუსეთის პროლეტარიატმა და მისმა ხელმძღვანელმა პარტიამ.

უზომო ტკივილები, ტანჯვა, სისხლი ახლავს სოციალისტური სახელმწიფოს მშობიარობის პროცესს. დეე ყველა ქვეყნის ფილისტერებმა, ბურჟუაზიის სუფრის ფინჩხებით მაძღრებმა, ყველა ქვეყნის სოციალ—ტაკიმასხარებმა იკბილ—იკრიჭონ: ეს რა სოციალიზმია, რომელსაც შიმშილი თან ახლავს, რომელსაც მუშას კუჭი ვერ გამოუძღოო! რუსეთის მუშა, ბრძოლის კვამლში გახვეული, ბურჟუაზიულ რეაქციის მგლებით და ტურებით გარშემორტყმული არ დაუშვებს ძირს საკუთარი კლასის რევოლიუციის დროშას! თავგანწირული ბრძოლა მისთვის მარტო სიტყვა კი არ არის, როგორც ბურჟუაზიის მელაკუდა ლაქიებისთვის, არამედ სისხლით და ოფლით მორწყული სამოქმედო პრინციპი. და რაც არ უნდა იყოს, რა ჯოჯოხეთური წამება არ უნდა იგემოს მან, მის და მსოფლიოს ყველა ჩაგრულთა ქუჩაზედაც მალე გაიმართება დღესასწაული—დღესასწაული შრომის გამარჯვებისა კაპიტალზე, ძალადობის ქვეყნის დამხობისა და მშრომელთა სამართლიანობა—თანასწორობის აღდგომისა.

ნ. ვექტორი.

**მთელი მსოფლიო აჯანყდა მონობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, აჯანყებულთა წინამძღოლი მესამე ინტერნაციონალია!**

# ინტერნაციონალის გარშემო

(26 ივლისი).

მეორე სხდომა.

(გაგრძელება იხ. „ახ. კომ.“ № 49).

**ამხ. როიას თეზისები.**

(ამხ. მარინგის თარგმანი).

ამხ. მარინგი—ამხანაგებო! ბრიტანიის ინდოეთის წარმომადგენელმა ამხ. რომ წარმოადგინა კონგრესის და კომისიის განსახილველათ ზოგიერთი დამატებითი თეზისები, რომლებიც გამოქვეყნებულ უნდა იქნეს აქ, ვინაიდან არ ყოფილა დაბეჭდილი, მე ვიწყებ ამ დამატებითი თეზისების გამოქვეყნებას:

1. ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხთაგანი, რომელიც დასმულია მე-3 ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის წინაშე, არის სწორი გარკვევა ურთიერთ დამოკიდებულებათა კომუნისტურ ინტერნაციონალისა და იმ ჩამორჩენილ ქვეყნებში დაწყებულ რევოლიუციონურ მოძრაობას შორის, სადაც ბატონობს წინა-კაპიტალისტური წყობილება, როგორც ჩინეთში და ინდოეთში. მსოფლიო რევოლიუციის ისტორია განიცდის ისეთ ხანას, როდესაც ამ ურთიერთ დამოკიდებულებათა სისწორით გაგება აუცილებელი ხდება. დიდმა ევროპიულმა ომმა და მისმა შედეგებმა ნათლად დაგვანახა, რომ არა ევროპიულ დაჩაგრულ ქვეყნების ხალხთა მასები მჭიდროთ არიან გადაბმული პროლეტარიატის მოძრაობათან ევროპაში. როგორც შედეგი მსოფლიო კაპიტალიზმის ცენტრალიზაციისა არის, მაგალითად, კოლონიალურ ჯარების და დიდძალი მუშათა არმიების გაგზავნა ფრონტზე ომის დროს და სხვ.

2. ევროპიული კაპიტალიზმი ცკრებს თავის ძალებს, უმთავრესათ, არა სამრეწველო ევროპიულ ქვეყნებიდან, არამედ კოლონიალურ სამფლობელოებიდან. მისი არსებობისათვის აუცილებელია კონტროლი ვებერთელა კოლონიალურ ბაზრებზე და ყვლეფის ფართო ასპარეზი. ინგლისი იმპერიალიზმის ყავარჯენი—იტანჯება ჭარბი წარმოებით, უკვე საუკუნის განმავლობაში. კოლონიალური სამფლობელოები თუ არა, რომელიც აუცილებელი საქონლის გასასაღებლათ და რომელიც ამავე დროს უმარაგებს მას ნედლს მასალას, ინგლისის კაპიტალისტური წყობილება დიდიხანია დაიმსხვრეოდა შიგნიდან. ყავს რა მონობაში აზიის და აფრიკის ასი მილიონი მცხოვრებლები ინგლისის იმპერიალიზმს, იმავე დროს ბურჟუაზიის მორჩილებაში ყავს ბრიტანიის პროლეტარიატი.

3. ზედმეტი მოგება, რომელსაც იღებენ კოლონიებიდან, თანამედროვე კაპიტალიზმის საშუალებათა უმთავრესი წყაროა. ევროპის მუშათა კლასი მხოლოდ მაშინ შესძლებს კაპიტალისტურ წყობილების დამხობას, როდესაც საბოლოოთ მოსპობილ იქნება ეს წყარო. კაპიტალისტური ქვეყნები ცდილობენ,—და, უნდა ითქვას, არც უშედეგოთაც—აღადგინონ თავიანთი შერყეული მდგომარეობა ადამიანის შრომისა და კოლონიების ბუნებრივ სიმდიდრის და ფართო და ინტენსიური ყვლეფით. კოლონიების მცხოვრებთა ყვლეფით ევროპის იმპერიალიზმს შეძლება ეძლევა დაურიგოს მუშათა არისტოკრატიას ევროპაში მოწყალებების (კომპენსაციების) მთელი რიგი. იმ დროს, როდესაც, ერთი მხრით, ევროპის იმპერიალიზმი ცდილობს კოლონიალურ ქვეყნების უფრო იაფიან მუშათა შრომით დამზადებულ საქონლის კონტინენტზე იმპორტით დასწიოს პროლეტარიატის საარსებო მინიმუმი, ბურჟუაზია მზადაა შესწიროს შინ აღებული ზედმეტი მოგება, ოღონდ კი დაირჩინოს კოლონიების ყვლეფით შენაძენი ზედმეტი მოგება.

4. კოლონიების გამოყოფა პროლეტარიატის რევოლიუციასთან ერთად თავის სახლში დაამხობს კაპიტალისტურ წყობილებას ევროპაში. მაშასადამე კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა გააფართოვოს თავის მოქმედების ფარგალი. კომუნისტური ინტერნაციონალი უნდა იყოს მჭიდრო კონტაქტში იმ რევოლიუციონურ ძალებთან, რომლებიც ამ ჟამათ მონაწილეობას იღებენ იმპერიალიზმის დამხობის საქმეში პოლიტიკურათ და ეკონომიურათ დამორჩილებულ ქვეყნებში. მსოფლიო რევოლიუციის სრული ნაყოფიერი დაგვირგვინებისათვის აუცილებელია ამ ორი ძალის კოორდინაცია.

5. კომუნისტური ინტერნაციონალი ეს მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატის შეერთებული ნებაა. მისი მისსია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ორგანიზაცაა კაპიტალისტურ წყობილების დასამხობათ და კომუნიზმის დასაფუძნებლათ. მესამე ინტერნაციონალი ეს სამხედრო ცენტრია, რომელმაც უნდა გააერთიანოს მსოფლიოს ყველა ქვეყნების რევოლიუციონური ძალები.

ბურჟუაზიულ კულტურით სულერთიანათ გამსჭვალულმა მეორე ინტერნაციონალმა, რომელსაც უდგანან სათავეში ერთი მუჭა პოლიტიკანები, ვერ დააფასა კოლონიალურ საკითხის მთელი მნიშვნელობა, მისთვის მსოფლიო ევროპის გარეშე არ არსებობდა. მისთვის ნათელი არ იყო ევროპაში და სხვა ხმელეთის ქვეყნებში, რევოლიუციონურ მოძრაობის კოორდინაციის აუცილებლობა. იმის მაგივრათ, რომ ნივთიერი და მორალური დახმარება გაეწიათ რევოლიუციონურ მოძრაობისათვის კოლონიებში, მეორე ინტერნაციონალის წევრები თვითონ გახდენ იმპერიალისტები.

6. აღმოსავლეთის ხალხებზე ძალდატანებით მოხვეული უცხოეთის იმპერიალიზმი უსათუოთ ბორკავდა მათ სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას და არ აძლევდა საშუალებას მიეღწიათ განვითარების იმ დონემდე, რომელსაც მიაღწია ევროპამ და ამერიკამ. იმპერიალისტურ პოლიტიკის წყალობით, რომელიც ისწრაფოდა შეეჩერებია სამრეწველო განვითარება კოლონიებში, იქაური პროლეტარიატი მხოლოდ ახლახან გამოჩნდა ცხოვრების ასპარეზზე ადგილობრივმა შინა-მრეწველობამ ადგილი დაუთმო იმპერიალისტური ქვეყნების ცენტრალურ მრეწველობას, რის გამო მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა იძულებული გახდა ხელი მოეკიდა მიწად მოქმედებისთვის და ნედლი მასალის გატანა დაეწყო საზღვარ-გარეთ. მეორ მხრით, ემჩნევა მიწების კონცენტრაციის ჩქარი ზრდა მსხვილ მიწადმოქმედების, კაპიტალისტების და სახელმწიფოს ხელში, რაც ძალზე ხელს უწყობს უმიწაწყლო გლეხთა რიცხვის ზრდას. ამ კოლონიების მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა დაჩაგრულ მდგომარეობაშია. ამ პოლიტიკის შედეგათ პროტესტის სული, რომელიც ხალხთა მასსებში პოტენციალურ მდგომარეობაშია, მხოლოდ მცირერიცხოვან საშუალო კლასის საშუალებით გამოიხატება- უცხოეთის ძალმომრეობა მუდამ ბორკავს სოციალურ ცხოვრების თავისუფალ განვითარებას; ამიტომ რევოლიუციის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს მისი დამხობა. ამ გვარათ, ბრძოლა კოლონიებში უცხოეთის ბატონობის დასამხობათ არ ნიშნავს ადგილობრივი ბურჟუაზიის ნაციონალისტურ მისწრაფებებზე ხელის მოწერას; ის უხსნის გზას კოლონიების პროლეტარიატს მის განვითარებისაკენ.

7. შეიძლება აღინიშნოს ორი მოძრაობის არსებობა, რომელიც დღითი დღე ცილდება ერთი მეორეს. ერთი მათგანი არის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ნაციონალისტური მოძრაობა, რომლის პროგრამაა პოლიტიკური დამოუკიდებლობა კაპიტალისტურ წყობილების დროს; მეორე—ღარიბ გლეხების და მუშების ბრძოლა თავის გასანთავისუფლებლათ ყოველნაირ ყვლეფისაგან. პირველი მოძრაობა ცდილობს კონტროლი გაუწიოს მეორეს, და ხშირათ არა უშედეგოთაც, მაგრამ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა უნდა იბრძოლოს ამგვარი კონტროლის წინააღმდეგ და ხელი შეუწყოს კლასიურ შეგნების განვითარებას კოლონიების მუშათა მასსებში. ამრიგათ, რევოლიუციის პირველი ნაბიჯი კოლონიებში უნდა იყოს უცხოეთის კაპიტალიზმის დამხობა. მაგრამ ყველაზე უმთავრესი და აუცილებელი ამოცანა უნდა იყოს არა-კომუნისტურ პარტიების შექმნა მუშათა და გლეხთა შესაკავშირებლათ იმისთვის, რომ შეიძლებოდეს მათი წაყვანა რევოლიუციისაკენ და საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებისაკენ. ამ გვარათ, ჩამორჩენილ ქვეყნებში ხალხთა მასსები ეზიარებიან კომუნიზმს არა კომუნისტურ განვითარებით, არამედ მოწინავე ქვეყნების შეგნებულ პროლეტარიატის ხელმძღვანელობით კლასიურ თვითნებობის განვითარებას გზით.

8. განმათავისუფლებელ მოძრაობის რეალური ძალა კოლონიებში ახლა არ იფარგლება უკვე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაციონალისტების ამოცანათა ვიწრო წრეში. კოლონიების დიდ ნაწილში არსებობენ შეკავშირებული რევოლიუციური პარტიები, რომლებიც იმყოფებიან მუშათა მასსებთან მჭიდრო კონტაქტში. კომუნისტების პირობები უნდა შედიოდენ კონტაქტში კოლონიებში რევოლიუციონურ მოძრაობასთან ამ პარტიების და ჯგუფების საშუალებით, ვინაიდან ისინი არიან მუშათა კლასის ავანპოსტი. ამჟამათ ისინი მცირერიცხოვანი არიან, მაგრამ გამოხატავენ მასსების ნებას. არიან-რა მცირერიცხოვანი, ისინი იმავე დროს გამოხატავენ ხალხთა მასსების ნება-სურვილს და მიყავთ ისინი რევოლიუციისაკენ. სხვადასხვა იმპერიალისტურ ქვეყნების კომუნისტური პარტიები უნდა მუშაობდენ მჭიდრო კონტაქტში კოლონიალურ პროლეტარულ პარტიებთან ერთად და მათი საშუალებით ნივთიერ და მორალურ დახმარებას უწევდენ რევოლიუციონურ მოძრაობას საზოგადოთ.

**კომუნისტური პარტიის ტაქტიკა კოლონიებში რევოლიუციის დროს**

თავის არსებობის პირველ ხანებში რევოლიუცია კოლონიებში არ იქნება კომუნისტური, მაგრამ თუ კი დაწყებისთანავე მას სათავეში ჩაუდგება კომუნისტური ავანგარდი, რევოლიუციონური მასსები გამოყვანილ იქნებიან სწორ გზაზე დასახულ მიზნის მისაღწევათ რევოლიუციონური გამოცდილების თანდათანობით მიღებით. სრული შეცდომა იქნებოდა გადაგვეჭრა აგრარული საკითხი წმინდა კომუნისტურ პრინციპების მიხედვით. თავის განვითარების პირველ საფეხურზე რევოლიუცია კოლონიებში უნდა ტარდებოდეს წმინდა წვრილ-ბურჟუაზიულ რეფორმისტულ მუხლებიანი პროგრამით, როგორც, მაგალითად: მიწების დაყოფა და სხვა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რევოლიუციის ხელმძღვანელობა კოლონიებში ბურჟუაზიულ დემოკრატების ხელში იყოს. პირიქით, პროლეტარულმა პარტიებმა გაძლიერებული პროპაგანდა უნდა აწარმოვონ კომუნისტურ იდეების, და მოაწყონ პირველი შეძლებისთანავე მუშათა და გლეხთა საბჭოები. ეს საბჭოები იმუშავებენ პროგრესიულ კაპიტალისტურ ქვეყნების საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად თანასწორათ მთელ მსოფლიოზე კაპიტალისტურ წყობილების საბოლოო დასამხობათ.

**კოლონიალურ საკითხის საერთაშორისო მნიშვნელობა**

რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს კონგრესისათვის, ამხ. როის მხრით უნდა დაუმატო შემდეგი. კომისიის ზოგიერთი შესწორებები მისი თეზისებისთვის მიღებულ იქნა მის მიერ. ამხ. როია მიაქცევს კონგრესის განსაკუთრებულ ყურადღებას ამ მეტად მნიშვნელოვან კითხვებზე. მას ძალიან უხარია, რომ შეძლება აქვს რევოლიუციონურ პროლეტარიატის კონგრესზე პირველათ მიიღოს მონაწილეობა კოლონიალურ საკითხის სერიოზულათ გარჩევაში. დღემდის ევროპის პარტიები ძალიან მცირე ყურადღებას აქცევდენ ამ საკითხს, ისინი ძალზე გართული იყვნენ თავიანთ საკუთარ საქმეებში და არ აქცევდენ ყურადღებას კოლონიალურ საკითხებს. ამავე დროს, ამ ჟამათ ამ კითხვებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მოძრაობისათვის. ინგლისი ახლა ყველაზე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოა მთელ მსოფლიოში, მან მიიპოვა უდიდესი მნიშვნელობა და ვებერთელა სიძლიერე. და თუმცაღა გერმანიის შესახებაც ასევე არ ითქმის, ვინაიდან ახლა მას აღარ აქვს კოლონიები, მაგრამ მაინც გერმანელმა ამხანაგებმაც უნდა მიაქციონ ამ საკითხს თავისი ყურადღება, ვინაიდან მას საერთაშორისო მნიშვნელობა მიეცა: ევროპასა და კოლონიებს შორის არსებული ეკონომიური ურთიერთობანი წარმოადგენენ ახლა კაპიტალიზმის საძირკველს. ზედმეტი ღირებულება, რომელიც წინათ სულ ერთიანათ იქმნებოდა ინგლისში, ახლა ნაწილობრივათ კოლონიებში იქმნება. მერმეთ, თვით ინგლისში ნაწარმოები პროდუქტები გააქვთ კოლონიალურ ბაზარზე. ამ გვარათ ინგლისმა ისე მოაწყო თავისი წარმოება, რომ თავისს აუცილებელ მოსახმარ საგნებს ამზადებს წელიწადში მხოლოდ სამი თვის განმავლობაში. ინგლისი მუდამ ყველაზე უფრო მხეცურათ ყვლეფდა თავის მუშებს. ასეთივე გლატაკების, ექსპროპრიაციის, [illegible] როვნობის ჩახშობის სისტემას ხმარობს ის დაპყრობილ ქვეყნებშიაც. ერთ ბრიტანიის ინდოეთს ყავს მცხოვრებნი რიცხვით არა ნაკლებ 315 მილიონისა. ბრიტანიის ინდოეთთან ერთად ინგლისი ყვლეფს კიდევ შავკანიან მცხოვრებთა აუარებელ მილიონებს კოლონიებში.

**რა საშუალებით შეიძლება კოლონიალურ მოძრაობის გამოწვევა და განვითარება?**

თუ კომუნისტური ინტერნაციონალი ცნობს, რომ მან თავისათ უნდა მიიჩნიოს ეს საკითხი, მაშინ უნდა მივმართოთ მეორე საკითხს: რა საშუალებებით შეიძლება ყველაზე უკეთ კოლონიალურ მოძრაობის გამოწვევა და განვითარება? უკანასკნელ დრომდე კოლონიებში ადგილი ჰქონდა მხოლოდ იმ ბურჟუაზიის ნაციონალურ რევოლიუციონურ მოძრაობას, რომლის ერთად-ერთი სურვილი იყო—თვითონ დაეკავებია გაბატონებულ უცხოელების ალაგი, რათა შეევიწროვებია ინდოეთის პროლეტარიატი თუ კითხვას დოქტრინერულად არ მიუდგებით, და გავარჩევთ მას დაწვრილებით კონგრესზე, შეიძლება დარწმუნდეთ აღმოსავლეთის ინდოეთის ხალხთა ნაციონალურ რევოლიუციონურ მოძრაობის დიად მნიშვნელობაში კომუნისტურ ინტერნაციონალისათვის. როგორც ომის დროს, ისე მის შემდეგაც ინდოეთში მოხდა დიდი ცვლილებები. იმ დროს, როდესაც წინათ ინგლისის კაპიტალიზმი მუდამ ხელს უშლიდა ინდოეთის მრეწველობის განვითარებას, ახლა სულ სხვანაირად შეიცვალა საქმე. უკანასკნელ წლებში ბრიტანიის ინდოეთის მრეწველობის განვითარება ისეთი ჩქარი ტემპით მიდიოდა, რომლის შესახებაც ევროპაში ჯერ კიდევ არავითარი წარმოდგენა არ აქვთ. თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ ამ ხნის განმავლობაში ბრიტანიის ინდოეთის სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი გაიზარდა 15 პროც. ხოლო ინდოეთის მრეწველობაში დაბანდებული კაპიტალი კი—2.000 პროც. მაშინ შეიძლება მივიღოთ წარმოდგენა ბრიტანიის ინდოეთში კაპიტალისტურ სისტემის განვითარების სიჩქარის შესახებ. ეს შეეხება აგრეთვე ეგვიპტესაც, ჰოლანდიის ინდოეთსაც, ჩინეთსაც. და ამ ქვეყნებშიც შეიძლება შევამჩნიოთ განვითარების სწორეთ იგივე პროცესი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრიტანიის ინდოეთში. უკანასკნელ ხანებში ინდოეთში დაიწყო უსახლ-კარო მასსების ახალი მოძრაობა, რომელიც ჩქარა და ფართოთ განვითარდა და ჩამოყალიბდა ძლიერ საგაფიცვო მოძრაობაში. ეს მასსიური მოძრაობა არ არის რევოლიუციონურ ნაციონალისტების კონტროლის ქვეშ, ის ვითარდება სრულიად დამოუკიდებლად, თუმცაღა ნაციონალისტები ცდილობენ გამოიყენონ ის თავიანთ მიზნებისათვის. ამ მასსიურ მოძრაობის შესახებ შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ის ყოველ შემთხვევაში რევოლიუციონურია, მაგრამ ვერავინ ვერ იტყვის, რომ მუშები და გლეხები, რომლებიც მასში მონაწილეობას იღებენ, გამსჭვალული იყვნენ ნათელი კლასიური შეგნებით: ისინი ყოველ შემთხვევაში რევოლიუციონერებია, რაშიაც ყოველ დღე გვარწმუნებს ჩვენ მათი მოქმედება. ეს გვაჩვენებს ჩვენ იმ ფორმებს, რომლებშიაც ყალიბდება მოძრაობა. ამხ. როი ფიქრობს, რომ რევოლიუციონურ მასსიური მოძრაობის ეხლანდელი სტადია წარმოადგენს გაშლილ ასპარეზს კომუნისტურ ინტერნაციონალის მოქმედებისათვის. საჭიროა მხოლოდ გამოვნახოთ ღონისძიებათა სწორი სისტემა, რათა ჩქარა მოვიმკათ ამ მასსებს შორის მუშაობის ნაყოფი. ბუნებრივია რომ ამ მასსების რევოლიუციის პირველი სტადია არ იქნება კომუნისტური; ბუნებრივია, რომ პირველ სტადიაში რევოლიუციონური ნაციონალიზმი ითამაშებს შესამჩნევ როლს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში თითქმის რევოლიუციონური ნაციონალიზმიც კი მოგვიყვანს ევროპის იმპერიალიზმის კრახამდის, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის პროლეტარიატისათვის.

**კონგრესი არ უარჰყოფს კოლონიალურ ხალხების დახმარებას.**

ბოლოს ამხ. როია მიმართავს კონგრესის წევრებს თხოვნით—არ უარჰყონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დახმარება, რომელიც წინადადებასაც აძლევენ კოლონიალური ხალხები საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატს. მე იმედი მაქვს, კონგრესი ძალიან სერიოზულათ მოეპყრობა ამხ. როიას ამ წინადადებას. მე იმედი მაქვს, რომ ის ამხანაგები, რომლებსაც აიძულებს მისი თეზისები წამოაყენონ საწინააღმდეგო დებულებები, ისარგებლონ შემთხვევით, რათა ყოველ მხრივი გარჩევით მეტად ნათელი გახადონ ეს საკითხი ევროპისა და ამერიკის კომუნისტებისათვის.

(შემდეგი იქნება)

# ბიულეტენი პრესბიუროსი

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.**

### იტალიის ამბები.

**რეველი**, 17 სექტემბერი. პროვინცია პალერმოში მამულების უმრავლესობა შეიარაღებულმა გლეხობამ დაიკავა. შეტაკები არსად მომხდარა, ვინაიდან მემამულეებს არსად წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

### პოლონეთის მთავრობა და ბუნდი.

**ნაუენი**, 2 სექტემბერი. პოლონეთის მთავრობამ ბუნდის დასახურავათ განკარგულება გასცა.

### ცენტრისთვის სურსათის მიწოდება.

**მოსკოვი**, 4 სექტემბერი. 1 და 2 სექტემბერში მ. პ. ორგანოს მისამართით 126 ვაგონი ხორბალი მოვიდა, რაც საერთოთ ადგილობრივ მცხოვრებთ მოხმარდება. სხვათა შორის კიდევ მოვიდა 9 ვაგონი ქერი.

### გამარჯვება.

**ადესა**, 4 სექტემბერი. ბულგარეთის გაზეთების ცნობით საქალაქო არჩევნებზე სამხრეთ-სლავიაში ხმის უმრავლესობა კომუნისტებმა მიიღო. ჯერ მხოლოთ შემდეგი ცნობებია: უმრავლესობა კომუნისტებს გაუყვინიათ ბელგრადის, ნიშის, უსკუბის, პრილენას და ტრილოტას მუნიციპალიტეტებში.

### გაფიცვები ნორვეგიაში.

**პეტერბურგი**, 17 სექტემბერი. რკინის გზელთა გაფიცვები ნორვეგიაში თანდათან იზრდება, არც ერთი ჩქარი სამგზავრო მატარებელი არ მგზავრობს. აუარებელი მგზავრები მატარებლების ლოდინში ჯგუფდებიან რკინის გზის სადგურებზე.

### პოლონეთის ტერრორი.

**რიგა**, 20 სექტემბერი. აუარებელი ცნობებია იმის შესახებ, რომ პოლონელების მიერ ხელახლავ დაპყრობილ ოლქებში სოფლის „მოჯამაგირეების" მიმართ საშინელი ტერრორი მძვინვარებს. ჯარებსფეხდაფეხ მოყვებიან აქ ჟანდარმები და მემამულები, რომლებიც მუსრს ავლებენ „მოჯამაგირეებს". ნოემბრის გაფიცვების მონაწილეებს ყველას ხვრეტენ. გაზეთები მთავრობას იმაში ამტყუნებს, რომ იგი ასაფეთქებელ მასალას ეთამაშება: ეს მასალა თანდათან გროვდება სოფლის პროლეტარიატის სახით. გაზეთები სამხედრო-საველე სასამართლოების მოხსნას მოითხოვენ.

### სიკვდილის სიხშირე

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. ვენის თვიმართველობის ოფიციალური სტატისტიკური ცნობით, ავსტრიაში სიკვდილი ძალიან გახშირდა. საშუალოთ ყოველ დღე ასი კაცი კვდება. ომის დაწყებიდან ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 200 ათასი სულით დამცირდა. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სიკვდილი დღითი დღე ხშირდება და ახალშობილთა რიცხვით ვერ იფარება, რაც შემდეგი ციფრებიდან მტკიცდება:.

20-დან 26 ივნისამდის მოკვდა 5,344, დაიბადა—494. 13-დან 19 ივლისამდის მოკვდა 5,474, დაიბადა—596.

### განხეთქილება ,,პოალეი-ციონის" საერთაშორისო კონფერენციაზე

**მოსკოვი**, 5 სექ. ვენაში „პოალეი-ციონის" პარტიის საერთაშორისო კონფერენციაზე მესამე ინტერნაციონალში შესვლის საკითხის გამო განხეთქილება მოხდა. მარჯვენა ფრთამ, რომელიც შედგებოდა პალესტინის, ამერიკის, ინგლისის და პოლონეთის „პოალეი-ციონის" წარმომადგენლებისაგან, შემოიტანა რეზოლიუცია, რომელშიც აღნიშნული იყო შესულიყვნენ მესამე ინტერნაციონალში სხვა სოციალისტურ პარტიებთან ერთად. მარცხენა ფრთამ კი წარმოადგინა რეზოლიუცია, რომელშიც დაუყოვნებლივ მესამე ინტერნაციონალში შესვლას მოითხოვდა. მარცხენა ფრთას მეთაურობდენ რუსეთის და ავსტრიის დელეგატები. მემარცხენეების რეზოლიუციას 178 დელეგატმა მხარი დაუჭირა, ხოლო 179 თავი შეიკავა და კონფერენცია დატოვა.

### კორეის მუშები.

**მოსკოვი**, 21 სექტ. კორეიაში მუშებმა მუშათა კავშირი მოაწყვეს, სადაც ირიცხება 10,000 წევრი..

### ხოჯების დაჭერა.

**ბათუმი**, 22 სექტ. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ ბრუსელში დაიჭირეს სამი ხოჯი, რომელთაც ხელი მოეწერათ „ფეტვა"-ზე მუსტაფა ქემალის სასარგებლოთ. დაჭერილები კონსტანტინოპოლში ჩამოიყვანეს.

### ს ო ფ ი ა შ ი.

**კონსტანტინეპოლი**, 12 სექტემბერი. სოფიიდან იტყობინებიან: პოლიტიკური მდგომარეობა დიდ არევ-დარევას განიცდის. უკანასკნელი კომუნისტების მოქმედებებმა და ტერრორმა არეულობა გამოიწვია. გეშოვის თავმჯდომარეობით შესდგა 450 ნაციონალურ პარტიის წევრების სხდომა. ირჩეოდა ბევრი საკითხი. სხდომა იყო მღელვარე. უკანასკნელ სხდომაზე გეშოვმა თავმჯდომარეობაზე უარი განაცხადა.

### უსწავლელობასთან ბრძოლა.

**პეტერბურგი**, 17 სექტემბერი. მოზრდილთათვის სასწავლებლების რიცხვი პეტერბურგში 400-ს აღწევს. მიმდინარე წლის ბოლომდის ბრძოლა უსწავლელობასთან დამთავრდება.

### მოხალისეები ფრონტისკენ.

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. ელისავეტოგრადში წითელი მოხალისეთ ჩაწერა წარმატებით მიმდინარეობს. ნეჟინში ახალგაზრდათა კომუნისტურმა კავშირმა მობილიზაცია უყო ყველა თავის წევრებს, გარდა ქალებისა.

### მარილის დამუშავება

**მოსკოვი**, 21 სექტემბერი. ადესაში უკანასკნელ თვის განმავლობაში ორი მილიონ სამასი ათასი ფუთი მარილი დაუგროვებიათ. მოელიან, რომ ამ წლის სეზონზე დაგროვებულ იქნება ოთხი მილიონ ფუთამდის.

### შრომის ფრონტზე.

**გომელი**, 2 სექტემ. სატრანსპორტო ფრონტზე ჩვენ კიდევ ორ გამარჯვებას მივაღწიეთ! აღდგენილია თეთრ გვარდიელების მიერ დანგრეული ხიდი დნეპრზე რეჩიცის ახლო და ბერეზინაზე ბობრუისკის ახლო. აღდგენილია პირდაპირი მიმოსვლა ჟლობინ-მინსკ-გომელ-ლუნინეცი.

### ამბოხება კალკუტში.

**ტრაპიზონი**, 9 სექტემბერი. გაზეთ „იკბალი"—7 სექტემბრის—იტყობინება: „შეიარაღებული მეამბოხეები იშაბოლის ფაბრიკას თავს დაესხენ. შეტაკების დროს ერთი აფიცერი და რამოდენიმე პოლიციელი მოკლეს. მეამბოხეებმა გაიტაცეს 20 თოფი. მეამბოხეები თავს დაესხენ ინგლისელთა რაზმს და დიდი ზარალი მიაყენეს.

### წ ი ნ ა დ ღ ი თ.

**მოსკოვი**, 2 სექტემბერი. ესტონიის დამფუძნებელ კრებაზე მინისტრმა პისონმა განაცხადა, რომ სახელმწიფოს მდგომარეობა კრიტიკულიაო. აუარებელი გაფიცვები, რომელსაც კომუნისტები აწყობენ, თანდათან იზრდება. კომუნისტური პარტიის ლიდერები, რომლებიც აქამდის ციხეში ისხდენ, ახლა გათავისუფლებული არიან და გაძლიერებულ მუშაობას აწარმოებენ. ხდება მიტინგები, რომელზედაც ორატორები აღიარებენ, რომ ესტონიაშიც მალე იქნება საბჭოთა ძალა-უფლება. ახლა ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონების და რკინის გზის მუშებია გაფიცული.

### პოლიტიკურ მოლაპარაკების შეწყვეტა ინგლისთან

**მოსკოვი**, 22 სექ. 20 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ამხ. კამენევი. ლონდონში მას ბრალი დასდეს და წინადადება მისცეს უკან დაბრუნების. სავაჭრო დელეგაცია ინგლისის მთავრობის თანხმობით რჩება ლონდონში და მასთან მოლაპარაკებაი გაგრძელდება.

### ინგლისი და რუსეთი

**მოსკოვი**, 22 სექ. ლონდონიდან ჩამოსული ამხ. კამენევი ამბობს, რომ ინგლისის საურთიერთო განწყობილება საბჭოთა რუსეთთან იცვლებოდა ფრონტის მდგომარეობის მიხედვით, ინტერვენციის მომხრეება ისევ წამოყვეს თავი. ანტანტამ გადაწყვიტა ერთხელ კიდევ სცადოს ბედი საბჭოთა ძალა-უფლების ჩამოსაგდებათ. მთავარი ბურჯი ანტანტის—ვრანგელია. იმავე დღესვე, როდესაც ლოიდ ჯორჯმა კამენევს განუცხადა ინგლისიდან გასულიყო, პოლიტიკური მოლაპარაკებების შეწყვეტას გამო, ინგლისის ბანკმა ბარონ ვრანგელის აგენტებს ფულები დაურიგა. რუსეთთან პირდაპირი ცხადი ომი ინგლისს არ ძალუძს. მუშათა კლასი საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრას მოითხოვს; რისთვისაც თვით ლოიდ-ჯორჯმა ვერ გაბედა სახალხოთ ეღირებია თავისი პოლიტიკის შეცვლა და კამენევის გასვლა-კი ვითომ შემდეგი ორი მიზეზით მოხდა: 1) მუშათა გაზეთის ფინანსიური დახმარებისთვის და 2) „მოქმედების კომიტეტთან" მუდმივი კავშირისათვის.

მოვლენათა შემდეგი მსვლელობა და შედგები ინგლისში და მთელ ევროპაში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სწრაფად და წარმატებით საბჭოთა რუსეთი შეავიწროებს თეთრგვარდიელებს.

### პოლონეთის ჯარები ომის წინააღმდეგ

**კიევი**, 20 სექტემბერი. 20 სექტემბერს ფრონტიდან დაბრუნებულები იუწყებიან, რომ მიუხედავათ დროებითი გამარჯვებისა, პოლონეთის ჯარის კაცებს ომი არ უნდათ; აცხადებენ, რომ ომმა მათ თავი მოაბეზრა.

### რევოლიუცია ბუხარაში.

**მოსკოვი** 22 სექტემბერი. წითელმა ჯარებმა ძველი ჩარჯუი დაიკავეს. მღელვარება მთელ ბუხარას ედება.

# ახალი ამბები

**რუსეთი და საქართველო.** გზათა უწყების დეპარტამენტმა შეიმუშავა რუსეთსა და საქართველოს შორის სავაჭრო სანავსანო ხელშეკრულობის პროექტი. თანახმად პროექტისა რუსეთის გემები საქართველოში და საქართველოს გემები რუსეთში, მიუხედავათ იმისა თუ საიდან მოვიდნენ, ისეთივე უფლებით სარგებლობენ, როგორც ადგილობრივი გემები. ხელშეკრულობის პროექტი ექვს მუხლისაგან შესდგება მე-6-სე მუხლის ძალით თუ გემი დაზიანდა, მას უნდა მიეშველოს ის სახელმწიფო, რომლის ნაპირებთანაც ის დაზიანდება. გადარჩენილი საქონელი თუ იგი სახელმწიფოს შინაურ საჭიროებისათვის არაა დამზადებული ყოველგვარ საბაჟო გადასახადისაგან თავისუფალია.

— **ცემენტი საქართველოსთვის.** „სლოვოს გადმოცემით ბათუმის ნავთსადგურში მოვიდა ნოვოროსიიდან გემი „პეტრე დიდი" რომელმაც მოიტანა საქართველოსთვის საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის ნოვოროსის განყოფილების მიერ გამოგზავნილი ცემენტი. ცემენტი ფოთის ქალაქის მართველობის თხოვნით გადმოტვირთულ იქნა ფოთის ნავთსადგურში.

— **გრაფ დე-მარტელი.** საფრანგეთის წარმომადგენელის მოვალეობის დროებით აღმასრულებელმა კონსულმა ნეტემანმა მიიღო იმის დამადასტურებელი ცნობა, რომ დე-მარტელი ვრანგელის მთავრობასთან საფრანგეთის უმაღლეს კომისრად დაინიშნაო.

— **სპეკულიანტების გადასახლება.** თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებისა, დაჭერილ სპეკულიანტებს, რიცხვით 39 კაცს, ოჯახებით რესპუბლიკის ფარგლებიდან ასახლებენ. სპეკულიანტების ბინები მთავრობის განკარგულებაში გადავა. გადასახლებულთა გვარები ცალკე იქნება გამოცხადებული.

# დეპეშები

(ს. დ. ს. საინფორმაციო განყოფილება).

### ვაჭრობის აღდგენა რუსეთთან

**ტრიესტი**, სექტემბერის 10. გერმანიის გაზეთის ცნობით: რუსეთიდან პურითა და რკინეულობით დატვირთული გემების ახალი პარტია მოვიდა. მოელიან ხე-ტყესა და ნავთს. ჩამოტანილ საქონლის ღირებულება 50 მილიონ ლირას აღემატება.

### რევოლიუციური მოძრაობა ანატოლიაში.

**ბერლინი**, სექტემბრის 13. გერმანელ გაზეთების ცნობით ანატოლიაში საბჭოთა რეჟიმი დამყარდა. სამოქალაქო და სამხედრო წყობილება შემუშავებულია. მოსკოვის მთავრობისა და ოსმალეთის ნაციონალისტების შეთანხმების თანახმად საბჭოთა რუსეთი ნაციონალისტებს ფულსა და სამხედრო მასალას შეპირდა.

### კომუნისტების დევნა ისპანიაში.

**მადრიდი**, ბარსელონიდან მოსული ცნობით, მრავალი ადგილობრივი რუსი ბალშევიკი დააპატიმრეს.

### წითელ არმიელები პრუსიაში.

**ვარშავა**, (გაგრძელება) ბალშევიკების ოფიცრები სრულიად დაურიდებლად სცარცვავდენ პოლონელ მემამულეებს. განიარაღებული პოლონელები სპარსეთში გაგზავნეს. გერმანელები წითელ არმიელებისაგან ყიდულობენ ცხენებს. ბალშევიკებს 20000 ცხენი ყავთ. არის უტყუარი ცნობები, რომ 40 ათასი ბალშევიკი პოლონეთის ტყეებსა და აღმოსავლეთ პრუსიაში იმალებაო, ისინი მოხერხებულ შემთხვევას უცდიან პროსტეენთან სადგურზე გადასვლისათვის. იმავე გაზეთის კორესპონდენტის ცნობით რუს ბალშევიკებთან გერმანიის საზღვარზე გადმოსვლის დროს გერმანელ ბალშევიკებს მჭიდრო კავშირი ქონიათ.

### უელის რუსეთში გამგზავრება

**ლონდონი** 8 სექტ. ცნობილმა რომანისტმა უელსმა გადაწყვიტა გაემგზავროს რუსეთში იმ მიზნით, რომ პირადათ გაეცნოს რუსეთის ცხოვრებას.

### რუსეთ-იტალიის დამოკიდებულება

**რომი** 8 სექტ. სოლრცმა მიიღო სოც. დელეგატები მორგანი, ლაზარი და სხვა, რომლებიც იტალიის მთავრობის რუსეთთან დამოკიდებულებით არიან დაინტერესებულნი. გაზეთი „ეპოქა" იუწყება: სოლრცმა განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა წინანდებურათ სიმპატიით ეპყრობა რუსეთს და რომ მოსკოვის კომერციულ აგენტს იტალიის მთავრობა სიხარულით შეხვდაო.

### ალანდიის მოძრაობა

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: რომ ალანდიის მოძრაობის მეთაურს 18 თვის ციხე და 3 წლის განმავლობაში სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა მიუსაჯეს.

## გერმანული პრესა

### სხვანაირად შეიძლებოდა?

სოციალისტურ უმრავლესობის კომიტეტის კრებაზე ბერნშტეინმა მოხსენება გააკეთა ჟენევის კონგრესის შესახებ და განაცხადა: ჟენევაში ოთხჯერ მეტი მუშები იყო წარმოდგენილი, ვიდრე მოსკოვში. ბერნშტეინმა გაერთიანებისაკენ მოუწოდა სოციალისტურ პარტიებს, რომელთა უთანხმოება არა მარტო გერმანიისათვის, არამედ მთელი ევროპისათვის დიდ უბედურებას წარმოადგენსო. კომიტეტმა გადაწყვიტა, დაიკავოს უარყოფითი დამოკიდებულება კომუნისტთა მანიფესტაციებისადმი.

### გაზეთის გაყიდვის აკრძალვა.

რეინის კომისიამ აკრძალა გაზეთის „ფრანკფურტ ცაიტუნგის" გაყიდვა მოკავშირეთა მიერ დაკავებულ ოლქებში.

### მუშის დაჭირავება.

32 წლის მუშას პრჟემინსკის, რომელმაც ბერლინში ივლისის 17 საფრანგეთის დროშა ჩამოხსნა, 500 მარკა ჯარიმა მიუსაჯეს.

### კაბინეტის კრიზისის დასრულება.

კაბინეტის კრიზისი დასრულდა, ვინაიდან ფინანსთა მინისტრი ვირტი კაბინეტში ისევ დარჩა გაზეთები კვლავ ეხებიან კრიზისის მიზეზებს და კაბინეტის რეკონსტრუქცია მახლობელ დროში შესაძლებლად მიაჩნიათ.

## ფრანგული პრესა

### პრეზიდენტის არჩევნები.

ორი პალატის გაერთიანებულ სხდომაზე სექტემბრის 22 კენჭი უყარეს პრეზიდენტის კანდიდატურას. მილიერანმა მიიღო 528 ხმა, რაულ პერემ 156 და ლ. ბურჟუამ 113. ამგვარად ვერსალის კონგრესზე წამოყენებულ იქმნება მილიერანის კანდიდატურა. ლეონ ბურჟუა კატეგორიულ უარს აცხადებს თავის კანდიდატურის წამოყენებაზე. ჩემი სურვილია ვემსახურო ერთა ლიგას, რომლის პრეზიდენტათაც ვითვლებიო.

### ისმალეთის წინააღმდეგ.

ლონდონი. მოკლე დროში განიხილავენ საკითხს დასავლეთ ანატოლიაში ინგლის-საბერძნეთის ძალების დასახმარებლათ რუმინეთის ჯარის გაგზავნის შესახებ.

### ლოიდ ჯორჯი ვრანგელთან დამოკიდებულების შესახებ.

**ლონდონი**, 18 სექტემბერი. ლოიდ-ჯორჯმა ოფიციალურად განაცხადა: „ამჟამად გენ. ვრანგელის შტაბთან ბრიტანეთის წარმომადგენლები არ იმყოფება. არის მხოლოთ ერთი ბრიტანეთის ოფიცერი, გაგზავნილი ვრანგელის შტაბში, რომელიც ჩვენს კონტრ-სამზერვოში იმყოფება.

## ბრალმდებელ ე. ჯორბენაძეს

მე სრულიადაც არ ვფიქრობ დ. ჯორბენაძის დაცვას იმ ბრალდებაში, რომელიც წამოუყენებია თიანეთის გვარდიის შტაბის წევრს, ბ. ესე ჯორბენაძეს, ის თავს თითონვე დაიცავს; მხოლოდ მე მინდა ფაქტიური შესწორება შევიტანო იმ წერილში, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ერთობის" მე-№213 ში ბ. ესე ჯორბენაძის მიერ.

ჩვენ აღელვებული ვართ მით, რომ ყოფილი კომუნისტი აქვეყნებს წერილს და უარყოფს თავის წარსულს. ბ. ესე ჯორბენაძე მოყოლია ისტორიას და სხვათა შორის ამბობს: თუ სპარსეთში ყოფნის დროს რუს-სალდათებთან არ გადმედებია ბალშევიკური სენი, მერე სად ვიპოვიდიო. მითხრან სად და ან როდის ყოფილვარ ბალშევიკიო. ამ წერილის შემდეგ ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს, რომ ვუპასუხო შემდეგი: 1918 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში იმყოფებოდი, თუ არა, ბ. ესე ჯორბენაძე, ქ. ბათუმში „ცენტროფლოტის" „ახრანაში"? იმ „ახრანაში", რომელიც შესდგებოდა მხოლოდ ამხ. ბალშევიკებისაგან. იქნებ იმასაც უარს ყოფთ, რომ თქვენ „ახრანაში" კამისრად იყავით არჩეული და დროებით მსახურობდით. თქვენ, რომ კომუნისტური „ცენტროფლოტის" „ახრანაში" კომისრად იყავით, როგორც პარტიული ბალშევიკი, ამის მოწმობისათვის ბალშევიკები არ გვჭირია—ამას თქვენი კარგი ნაცნობი მენშევიკი და მასთან ყოფილი მაშინდელი ბათუმის კომუნისტურ ბიუროს მდივანი ბ. შატო ქარცივაძეც დაამოწმებს. ის ქარცავაძე, რომელიც მარჯვენა ხელია კედიასი.

თქვენ ბ. ჯორბენაძე, როგორც ერთ დროს ბალშევიკებთან იღწოდით, ახლა შეიძლება მენშევიკებთან მოგესურვათ მოკალათება და იპოვეთ კიდეც შესაფერი ალაგი. ჩვენ არ შეუდგებით ამაების კვლევას, მხოლოდ რაც შეეხება თქვენს მიმართვას ჩიბათის კომუნისტებისადმი, ეს პარტიულ დეზერტირობის და სიყალბის დამატებითი თქვენი ზნეობრივი და სულიერი გახრწნაა. ჩიბათის კომუნისტებმა იციან თუ ვის მიყვებიან. მათ იციან, რომ იბრძვიან მუშათა კლასის უდიდეს იდეალებისათვის და მარქსისტულ მოძღვრებისათვის. ჩიბათის კომუნისტები არ საჭიროებს ბ. ესიკეების მოწოდებას და იტყვიან: შორს გველისებური თქვენი ენა!

ჩვენ არ გვიკვირს ბ. ესე თქვენი ქცევა. რევოლიუცია ხალხს სწრთვნის, საცერში სცრის: დიდ ნაწილს აკაჟებს და მირეკავს ბრძოლისკენ კაპიტალის უღლის დასამსხვრევათ, და მცირე ნაწილს კი, პროვოკატორებს, მხდალებს სანაგვეზე სტოვებს. გასაკვირი არ არის თუ ამ უკანასკნელში მოხვდით თქვენც.

**გურიევი.**

საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის
ფურცელი № 5

## მისალმება

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც რომ იტანჯება აღმოსავლეთის ხალხი ევროპის იმპერიალისტების კლანჭებისაგან. დიდი ხანია მას შემდეგ რაც რომ აღმოსავლეთის ხალხს დააკარგვიეს თვითმოქმედება ევროპის იმპერიალისტებმა. აღმოსავლეთის ხალხი მოკლებულია ყოველივე იმას, რაც ესაჭიროება მილიონიან მუშას. ის გრძნობს აუტანელ ტანჯვას, მაგრამ დღემდის ვერ ამოუღია ხმა ევროპის შავ იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მაგრამ დღეს აღმოსავლეთის დანაწილებულ დაქუცმაცებულმა ხალხმა აღიმაღლა ხმა მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ დღეს აღმოსავლეთის დამონავებულ ხალხს სათავეში ჩაუდგა ბაქოს რევოლიუციონური პროლეტარიატი. დღეს აღმოსავლეთის ხალხი თავს იყრის და ირაზმება ერთ რევოლიუციონურ დროშის ქვეშ და იმუშავებს რევოლიუციონურ პლათფორმას. შეკავშირებულათ და მედგრათ შეებრძოლება თავის დამჩაგვრელ ფრთა გაშლილ იმპერიალიზმს.

მაგრამ ამ გაафთრებული ბრძოლის ხანაში არც ახალგაზრდობა არ წარმოადგენს გაყინულ სხეულს. მშრომელი ახალგაზრდობაც იწვევს ყრილობებს ერთდება ახალგაზრდობის კომუნისტური დროშის ქვეშ, იმუშავებს საერთო პლათფორმას, რაზმავს შრომელ ახალგაზრდობას არსებულ ნაციონალისტურ შოვინისტური წყობილების წინაამდეგ. აი ასეთ ახალგაზრდებში რევოლიუციონურ მოძრაობას სათავეში უდგას ადერბეიჯანის კომუნისტური ახალგაზრდობა.

და ჩვენც გურიის კომუნისტური ახალგაზრდობაც მათთან ვართ და უძღვნით ამხანაგურ სალამს „აღმოსავლეთის კომუნისტურ ახალგაზრდობის ყრილობას.“ და უსურვებთ, რომ ერთხელ აღმართული წითელი დროშა ამაყათ და მედიდურათ მიეტანოს აღთქმულ ქვეყნის კარებამდე.

**საქ. ახალ. მუშ. და გლეხ. კომ. კავშირი გურიის კომიტეტი.**

## კომუნისტური ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენცია ბერლინში.

ივნისში ქ. ბერლინში მოხდა კომუნისტურ ახალგაზრდობის ინტერნაციონალის ბიუროს პირველი სხდომა. რადგან სხდომას დაესწრო ბევრი ისეთი ამხანაგი, რომელნიც წარმოადგენდენ სხვა და სხვა ქვეყნების კავშირებს, ამიტომ ბიუროს დადგენილებით გაიხსნა საერთოშორისო კონფერენცია. აღმასრულებელ კომიტეტის წევრების გარდა კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა გერმანიის, იტალიის, რუსეთის, ლიტვის, ბელორუსიის, პოლონეთის, ჰუნგრეთის, სამხრეთ-სლავიის, ესპანეთის, ავსტრიის, რუმინეთის, შვეციის, ნორვეგიის და შვეიცარიის წარმომადგენლებმა; კონფერენციაში აგრეთვე მიიღეს მონაწილეობა კომუნისტურ ინტერნაციონალის დასავლეთ ევროპის სეკრეტარიატის, გერმანიის კომუნისტურ პარტიის და სხვა პარტიულ ჯგუფების წარმომადგენლებმა. მრავალი დელეგატები, მათ შორის ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელნი, სამწუხაროთ დაკავებულ იქმნენ საზღვარზე, და ვერ შესძლეს დროზე დასწრებოდენ კონფერენციას. კონფერენციის პირველ დღეებში დელეგატებმა მოისმინეს მოხსენებები სხვა და სხვა ქვეყნებიდან, აღმასრულებელ კომიტეტის და მის ქვე—სეკრეტარიატების — მოსკოვის, სტოკჰოლმის, ბაზელის და ვენის—მოხსენებები. დელეგატები აღნიშნავდენ კომუნისტურ ორგანიზაციების გაძლიერებას სხვა და სხვა ქვეყნებში. ამ მოვლენას უწყობს ხელს აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობა. ყოველ თვეს გერმანულ, რუსულ, იტალიანურ და შვეციურ ენებზე გამოდის ჟურნალი „ახალგაზრდობის ინტერნაციონალი“. ამის გარდა 3 თვის განმავლობაში გამოცემულია მრავალი ბროშიურები და გავრცელებულია რამოდენიმე ასი ათასობით. აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენების მთავარი ნაწილი შეეხებოდა მის პოლიტიკურ მუშაობას და არსებულ სოციალ-პატრიოტულ და „ცენტროვიკების“ ახალგაზრდობის ორგანიზაციებთან დამოკიდებულებას. კონფერენციამ ერთხმად მოიწონა აღმასრულებელი კომიტეტის ტაქტიკა. ინტერნაციონალში მიიღეს შემდეგი ორგანიზაციები:

ფინეთის სოციალისტურ ახალგაზრდობის კავშირი (20.000 წევრი), ბოლგარეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი (3.000 წევრი), სლოვაკიის ახალგაზრდობის კავშირი (2.500 წევრი), ლიტოვის და ბელორუსიის კომკავშირები „გერმანიის პროლეტარული ახალგაზრდობის“ რომელიც არსებობს „დამოუკიდებელთა“ პარტიასთან და ავსტრიის „ჭაბუკ-მუშათა კავშირის“ თხოვნაზე, რათა იგინი მიღებულ იქმნენ ინტერნაციონალში, კონფერენციამ ხელ-ახლა განაცხადა, რომ მათი მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგინი მთლიანად აღიარებდენ ბერლინის პროგრამას და მარტო პრაქტიკულ მუშაობის შემდეგ, რომელშიაც დამტკიცდება მათი ერთგულება კომუნისტურ ახალგაზრდობისადმი. ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალი აკავშირებს 30 ორგანიზაციას, რომელშიაც შედის ნახევარ მილიონზე მეტი წევრი.*)

დასასრულ განხილულ იყო მრავალი საორგანიზაციო კითხვები, მაგალითად, საერთაშორისო გამომცემლობის, ექსპედიციის, ინტერნაციონალურ ცენტრალურ არქივის დაარსების, ქვე-სეკრეტარიატების მუშაობის და ახალგაზრდობის ინტერნაციონალის ფინანსიურ საკითხი. კონფერენციამ შეიმუშავა ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების თანამედროვე ანტი-მილიტარისტული მუშაობის თეზისები, ვინაიდან ანტი-მილიტარისტული მუშაობა დიდიხანია, რაც შეადგენს კომუნისტური ახალგაზრდობის მუშაობის უმთავრეს ნაწილს.

აგრეთვე განხილული იქნა საკითხი საერთაშორისო დამხმარე ენის შემოღების შესახებ. კონფერენციამ გაარჩია საკითხი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესასწაულის შესახებ და დანიშნა მომავალ ინტერნაციონალური კონგრესის დრო, რის შემდეგაც კონფერენცია დაიშალა.

### საერთაშორისო კონგრესი.

აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილების თანახმად კომუნისტური ახალგაზრდობის ორგანიზაციების მე 2 ე საერთაშორისო კონგრესი შესდგება ქ. მილანში (იტალია) 1921 წლის მარტში.

*) ახალი ცნობების თანახმად ინტერნაციონალი აკავშირებს 800.000 წევრს.

## საქართველოს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ყრილობა

(დასასრული).

სიტყვა ეძლევა საქ. კომ. პარტ. თბილისის კომიტ. წარმომადგ. ჭალარა ამხ ნესტორ ცერცვაძეს.

ახალგაზრდა ამხანაგებო! ჩემი სახით თქვენ გესალმებათ საქ. კომ. პარტ. თბილისის კომიტეტი. მე მინდა გაგახსენოთ ისტორია იმ საქმისა, რომელსაც თქვენ ემსახურებით. თქვენ ხართ მემკვიდრე იმ თათბირისა, რომელიც ას წლობით მუშაობდა ახალი წესწყობილების, ახალი ცხოვრების შესაქმნელათ. ჯერ კიდევ მე-4-ხე საუკუნეში ქრ. დაბადებამდე ფილოსოფოსს პლატონს აქვს თხუზულება „რესპუბლიკა“, სადაც მკაფიოდ გამოთქმულია კომუნიზმის იდეები. კაცობრიობა ინსტიქტურათ ეძებდა კომუნიზმისაკენ, საყოველთაო ძმობა ერთობისაკენ მიმავალ გზას, სხვა იდეალი მას არ ჰქონდა და არც შეეძლო ქონებოდა.

პლატონის საქმე გააგრძელა ინგლისის სახელმწიფო მოღვაწემ და ფილოსოფმა ტომას მორმა, რომელმაც დასწერა თხუზულება „უტოპია“, სადაც გამოსჭვივის კაცობრიობის მსოფლიო სევდა სამართლიანი და ბედნიერ ცხოვრებისაკენ.

ამ მოძრაობის დამაგვირგვინებელი იყო მარქს-ენგელსის რევოლიუციონური კომუნიზმი, მეცნიერული სოციალიზმი და პარიზის კომუნართა დიადი ცდა. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის და პარიზელ კომუნართა საქმე დაგვირგვინდა რუსეთში.

რუსეთი გახდა საერთაშორისო მოძრაობის ავანგარდი და რუსეთშივე დაიწყო და გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლიუციამ.

რუსეთის რევოლიუცია მოედო მთელ მსოფლიოს და გახდა პერმანენტულ, მუდმივ მსოფლიო რევოლიუციად.

რუსეთმა ნათლად უჩვენა კაცობრიობას მუშათა კლასის გამარჯვების გზა.

არ ყოფილა ახალგაზრდობა დღევანდელზე უფრო ბედნიერი, მის წინ გაშლილია ყველა გზები, დამსხვრეულია ყველა დაბრკოლებები.

კომუნიზმი შეიჭრა ყველა ქვეყნებში ასე, რომ ბურჟუაზიაც ვერ ბედავს მის უარყოფას, მხოლოდ ფარისევლურად უმატებს, რომ მისი განხორციელება ჯერ ნაადრევია და საერთოდ შეუძლებელი.

თვით აქ, თბილისში, თვით იმ მემამულეების პრესაც კი, რომელნიც მზად არიან აღადგინონ „იუს პრიმე ნოკტის“ ღ გლეხები შეაბან უღელში, ვერ ბედავს აძაგოს სოციალიზმი.

ბურჟუაზიამ დაჰკარგა მომავლის იმედი. მან ეს ნათლად დაანახა ქვეყანას ვილჰელმის სიტყვებით, რომელმაც განაცხადა: „მე არაფერს ვიტყვი მას შემდეგ, რაც ნიკოლოზი მოჰკლეს და ჩემმა საუკეთესო მეგობრებმა მე გამწირეს“. ყველაფერი იმას ღაღადებს, რომ უნდა განვახორციელოთ კომუნიზმი, დამყარდეს თანასწორობა; ვისაც სურს სიცოცხლე მან ახალი ცხოვრება უნდა ააშენოს. კომუნიზმის დამარცხება,—რომ ის შესაძლებელი იყოს—კაცობრიობის დაღუპვა იქნებოდა.

თვით ბუნება მოითხოვს საწარმოო ძალთა განსაზოგადოებრივობას.

ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენ მუშები, ვერ შევძლებთ ახალი ცხოვრების მოწყობას, მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ. რომ ჩვენ და მხოლოდ ჩვენ მოუვლით ფაბრიკა-ქარხნებს, მიმოსვლის საშუალებებს და მთელ ეკონომიურ ცხოვრებას.

ჩვენ იძულებული ვართ ვებრძოლოთ არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ „პროგრესისტებსაც“,—მენშევიკებს, ესერებს და სხვებს, რომელნიც, როგორც „სოლიტერები“ შესძრომიან მუშათა კლასს, და ღრღნიან მის ორგანიზმს და სწოვენ მას სისხლს.

ძველ წესწყობილების ფარგლებში დაბრუნება შეუძლებელია; ჩვენ ახალი გზა უნდა გამოვნახოთ.

ჩვენ ძველი მებრძოლნი, რომელთაც დღიდან დაბადებისა ყოველ მხრივ გვასახიჩრებდნენ, როგორც მცენარეს, ჩვენ გვეძნელება ამ დიადი საქმის დაგვირგვინება, თქვენ კი, ახალგაზრდობას, რომელსაც ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ თავისი დამღუპველი და დიმასახიჩრებელი დაღი ვერ დაგასვათ, თქვენ შესძლებთ ჩვენ მიერ დაწყებულ საქმის დათავებას.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას! გაუმარჯოს მე-3-მე კომ. ინტერნ.! (ორკ. ასრ. ინტერნ.)

თავმჯდომარე აქვეყნებს საქ. კომ. პარტ. ქუთ. საგუბ. კომ-ტისაგან მიღებულ მისალმების შემდეგ შინაარსის დეპეშას:

„საქ. კომ. პარტ. ქუთ. საგუბერნიო კომიტეტი გიგზავნის ამხანაგურ კომუნისტურ სალამს საქ. მუშათა და გლეხთა ყრილობას და გისურვებს ნაყოფიერ მუშაობას სოციალისტური რევოლიუციის სასარგებლოთ და კომუნიზმის გასამაგრებლად.

გუბკომის პრეზიდიუმი!!

თავმჯდომარე: ამხანაგებო, მიღებულია მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის კავკასიის საოლქო კომიტეტისაგან შემდეგი დეპეშა:

„თბილისის კომუნისტური ახალგაზრდობის ყრილობას.

საბჭოთა კავკასიის მთელი პროლეტარული კომუნისტური ახალგაზრდობის სახელით მოგესალმებით თქვენ საქართველოს ახალგაზრდა კომუნისტურ მებრძოლებს.

თქვენ, რომელნიც გმინავთ მუშათა კლასის გამცემლების მენშევიკების მძიმე უღლის ქვეშ. გისურვებთ სწრაფ გამარჯვებას და გვრწამს, რომ შორს არ არის ის ბედნიერი ჟამი, როდესაც მძლავრი რევოლიუციონური ქარიშხალი წალეკავს ხელოვნურად შექმნილ დროებით გამთიშველ დაბრკოლებებს და შეადუღებს ჩვენს სწრაფვას ახალ ბრწყინვალე კომუნისტურ ცხოვრების აღმშენებლობისაკენ.

გაუმარჯოს კომუნისტურ ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს თქვენს ყრილობას!

მუშ. და გლეხ. ახალ. კომ. კავ. კ. ს. კ.
(ტაშისცემა. ორკ. ასრ. ინტენაც.)

მისასალმებელათ სიტყვას ღებულობს ძველი მებრძოლი-მუშა, პირველი მებაირახტრე, ამხ. არაქელი.

ამხანაგებო—ამბობს არაქელი — მე ახალს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მოგითხრობთ ცოტა რამეს ჩვენი ძველი ცხოვრებიდან.

ჩვენს დროს, როდესაც გარშემო ბნელი ძალები გვეხვია, როდესაც თვით ჩვენი ოჯახის წევრები გვეუბნებოდენ, თქვენ სულელები ხართ, რას გახდებით ბრწყინვალე თავადებთან და სხვა ამგვარს. ჩვენ მაინც ინსტიქტურათ განვაგრძობდით ბრძოლას ერთგულათ. გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ თუ ფანატიზმი—გატაცება არ არის, იქ რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს. ჩვენი მასწავლებლები გვარწმუნებდენ, რომ დასავლეთ ევროპის მუშები განათლებული და შეგნებული არიან, მაგრამ ეს ასე როდია: თქვენ გახსოვთ ინგლისის ჩასუქებული სალდათები, ეს ისევ მუშები და გლეხები; პირველ შეხვედრისთანავე მიხვდებოდით, რომ მათ სახეზე არავითარ ფიქრს რევოლიუციაზე არ გადუვლია, არავითარ ღრუბელს არ დაუჩრდილავს; ეს მუშები, ამხანაგებო, გამაძღარი არიან ინდოეთის ორას მილიონიან მშრომელი ხალხის სისხლით. იქ, ამხანაგებო, მუშათა კლასი პირუტყვათ არის აღზრდილი, მაშინ როდესაც ინგლისში თითქმის კომპანიონია თავის კაპიტალისტის, რომელიც თვითონ ბანაობს შამპანიურში და მუშებსაც აბანოვებს.

ჩვენ გვიკიჟინებენ, რომ აღმოსავლეთში გადაიტანეთ მუშაობის ცენტრიო, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი კურსი ლენინის აღმოსავლეთის პოლიტიკა სწორია, რადგანაც რევოლიუციას სწორედ იქ აქვს ადგილი, სადაც ტანჯვა და გოდებაა. მხოლოდ როდესაც ევროპის რომელიმე ქვეყნის მუშები პირისპირ დაუდგებიან თავის ბურჟუაზიას, მაშინ გაჩაღდება ნამდვილი კლასთა ბრძოლა.

ძველ დროს ჩვენ გარშემო არ იყო შემოკრებილი ახალგაზრდობა, დღეს კი ახალგაზრდობა ჩაება რევოლიუციის წიაღში.

ჩვენ, ძველი მუშები გადმოგცემთ თქვენ ბრძოლის დროშას და თქვენ მიიტანთ მას სოციალიზმამდე. (მქუხარე ტაში. ორკ. ასრ. ინტერნაც.)

## ახალგაზრდა კომუნისტური მოძრაობა

### საბჭოთა რუსეთში

#### მომავლის მშენებელნი

მთელ ურალზე ჩატარდა მოხალისეთა მობილიზაცია შრომის არმიისათვის, ოთხმა გუბ. მოგვცა 2 ნახ. ათასი ჭაბუკი შრომის არმიელები. ენტუზიაზმი დიდია. უსისხლო ფრონტზედაც ახალგაზდები წინ მიდიან.

კაზაცკის თემში (ურალი) ახალგაზრდობის კავშირმა გახსნა კლუბი იქ, სადაც უწინ მეფის მონოპოლკი იყო, სადაც უწინ თვრებოდნენ და თავს იღუპავდნენ იქ ეხლა სინათლის ლამპარი აენთო, ახალგაზრდობა სწავლობს და ვითარდება.

ტრუბჩევის ორგანიზაცი[illegible] ბატონეთა საუკეთესო ოსობნიაკში „კომუნ. ახალგაზდ. სახლი.“

#### „სასწაულები“

ურალზე და ციმბირში საბჭოთა ძალაუფლების ოთხი თვის არსებობის ხანაში გაჩნდა 600 ორგანიზაცია ახ. კომ. კავშ. რიცხვით 40,000.

კაზანის გუბერნიაში ითვლება 1500 წევრი მუსულმანები მათ შორის 280 ქალიშვილები უწიდელ დროში გაუგონარი რამ: მუსულმანი ქალები ადამიანათ ხომ არ ითვლებოდნენ. მაგრამ კომუნიზმი სასწაულებს ახდენს, დამყაყებულ აზროვნებას ყირამალა ატრიალებს მუსულმანი ქალი გადაიქცა ადამიანათ, კიდევ უფრო სწორ უფლებიანი წევრდა მომუშავე ქ. ქ.

#### ბებრები არ სცხრებიან.

ტომსკის გუბ. (სიბირი) მამები ყოველნაირათ ხელს უშლიან ახალგაზრდობას. სოფ. ფელოროვკაში მამამ გამოაგდო შვილი სახლიდან, რადგან ის იყო კავშირის წევრი.

კაზანის გუბერნიაში ბებრები კულაკები ნებას არ აძლევენ მუშაობისას, ერთხელ კიდევ ცეცხლი წაუკიდეს კავშირის შენობას, სადაც ამდროს სპექტაკლი მიმდინარეობდა.

#### კავშირის მუშაობა.

ამას წინათ პეტროგრადში მოეწყო პოლიტიკ. წერაკითხვის ცენტრ. შკოლის პირველი „ვიპუსკი“. პროვინციას არ სთვლემს.

ბორისოგლებსკში მოეწყო კავშირის შკოლა. შკოლის პროგრამა ასეთია—პროგრამა რ. ახ. კომ. კავ. კომუნ. პარტიის, ახალგაზრდ. მოძრ. ისტორია, საერთო პილიტიკურ და განმანათლებელ საკითხებზე ლექციების მთელი რიგი, საუბართ მთელი რიგი კავშირის შკოლის გასულ-განვლილის შესახებ.

## ქრონიკა

### რ უ ს ე თ ი.

იალტაში დაუჭერიათ კომუნისტურ კავშირის 50 წევრი. ფეოდოსიაში დახვრიტეს რამოდენიმე ახალგაზრდა კომუნისტები, რომელნიც მიისწრაფოდენ ფონვრანგელის დესპოტიიდან საბჭოთა რესპუბლიკაში.

### აზერბაიჯანი.

ბაქოში მოხდა აგვისტოს დამლევს 8 საერთო ქალაქის კონფერენცია კომუნ. კავშირისა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება. ჩვენ ხელახლა წარმოვისვრით ლოზუნგს: ყველაფერი ომისთვის ყველაფერი ფრონტს, ჩვენ მილიტარიზაციას მოვახდენთ წარმოებისას, მას სამხედრო საჭიროებისათვის ავამუშავებთ. კომ. კავშირი კომპარტიასთან ერთად, მთელ აზერბაიჯანის და რუსეთის მუშებთან ხელი ხელ ჩაკიდებული წავა ფრონტზე როგორც ერთი და თუ საჭირო იქნება ზვარაკათ შეეწირება პროლეტარულ საქმეს.

### ჩ ვ ე ნ შ ი.

რაჭის სხვა და სხვა ადგილებს ყრილობის დაბრუნებული დელეგატები აწყობენ ახალგაზრდების და პარტიის წევრთა საერთო კრებას, რომელსაც გამოაქვს სასტიკი პროტესტი მთავრობის მიერ ყრილობის უხეშ ძალით გარეკის წინააღმდეგ.

ამხანაგებო!

მოგვაწოდეთ ცნობები ჩვენი კავშირის მდგომარეობის შესახებ და აგრეთვე მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის ცხოვრებიდან. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქცია სიამოვნებით მიიღებს თქვენგან მოწოდებულ ცნობებს.

„ახალ. კომ. ფურც.“ სარედაქციო კოლეგია.

დრ. რედაქტორი: ა. ქურიძე.